მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №31
2023 წლის 29 დეკემბერი

დაბა მესტია

მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის გახორციელების წესს დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ“ პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, და საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მე-3 მუხლის „ზ“ პუნქტის და 96-ე მუხლის შესაბამისად მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა),,მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის გახორციელების წესი“ (დანართი №1)

ბ) ხელშეკრულების ფორმა (დანართი №2)

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,**მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის გახორციელების წესს დამტკიცების თაობაზე“** მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 სექტემბრის №19 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მაიზერ ჯაფარიძე**

დანართი №1

მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის გახორციელების წესი

ეს წესი განსაზღვრავს მესტიის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების/ბავშვების, მათ შორის შშმ ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირების მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან (შემდგომში – მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი) ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემის პირობებს, პროცედურებს, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიებს და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

მუხლი 1. მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამა მოიცავ შემდგომ ქვეპროგრამებს:

1. ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ქვეპროგრამა.

2. სიღატაკეში ან/და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ქვეპროგრამა.

3. ძალადობის მხვერლის სტატუსის მქონე პირების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა.

მუხლი 2. პროგრამების მიზანი

1. აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება.

2. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების სისტემის სრულყოფა.

3. სოციალური დახმარების პრიორიტეტების გამოკვეთა.

4. მოქალაქეთა განათლების,ჯანმრთელობის მდგომარეობის რეაბილიტაციისა
და გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა.

5. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის/ბავშვებისთვის მატერიალური /საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება , დახმარების გაწევა, მონაცემთა ბაზის წარმოება.

6. ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა დაცვა, სამართლებრივი დახმარება, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარება/რეაბილიტაცია და მათი ფიზიკური და ფსიქოემოციური გაჯანსაღებისთვის ზრუნვა, მსხვერპლთა დროებითი საცხოვრისით (თავშესაფრით) უზრუნველყოფა, მათი ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიული მომზადების/გადამზადების ან/და დასაქმების ხელშეწყობა ან/და სხვა დახმარება, რომელიც მსხვერპლის საჭიროებებზეა მორგებული.

მუხლი 3. რესურსების წყარო

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

მუხლი 4. პროგრამების ხანგრძლივობა

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამასახურის სოციალური, ჯანმრთელობის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები,ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები.

მუხლი 6. სოციალური დახმარების მიმღებთა კატეგორიები და მათზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობები

1. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ოდენობა შეადგენს:

· კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების გაწევას თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.

· კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება თითოეულ ბავშვზე ერთჯერადად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

2. სიღატაკეში ან/და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები-ერთ ოჯახზე მისაწოდებელი ავეჯის/ტექნიკის/საქონლის/სარემონტო მასალის და სხვა საშუალებების შესაძენად

(ფულადი) დახმარების ოდენობა შეადგენს არაუმეტეს 1 000 (ათასი) ლარს.

3. ძალადობის მსხვერპლი პირებისთვის/ქალებისთვის/ბავშვებისთვის ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გულისხმობს: სადღეღამისო საცხოვრისის დაქირავებას; ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფას; დღის განმავლობაში სამჯერადი კვებით უზრუნველყოფას; ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციის ხელშეწყობას; სამართლებრივი დახმარების გაწევას (ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე); პროფესიული მომზადების/გადამზადების ან/და დასაქმების ხელშეწყობას ან/და კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, სხვა დახმარებას რომელიც მსხვერპლის საჭიროებებზეა მორგებული.

მუხლი 7. ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა.

1. პროგრამებით გათვალისწინებული ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამასახურის სოციალური, ჯანმრთელობის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.

2. ბენეფიციართა გამოვლენის , ბაზების შექმნასა და ბავშვთა/ბავშვების/ოჯახის შეფასების და ქვეპროგრამებით გათვალისწინებული დახმარების გაცემის საკითხზე დასკვნის მომზადებაზე პასუხისმგებელია მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამასახურის სოციალური, ჯანმრთელობის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი.

3. მერიის სოციალური დაცვის სამსახურის(შემდგომში – სამსახური) სოციალური , ჯანმრთელობის , ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება პასუხისმგებელია სოციალური დახმარების მიმღებთა (ბენეფიციართა) სიების ელექტრონულ (კომპიუტერულ) დამუშავებასა და მონაცემთა ბაზის შექმნაზე.

მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღება

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების გაცემის საბჭო და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამასახურის სოციალური , ჯანმრთელობის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებისა და ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ საკითხის გადაწყვეტა /ბაზის შექმნა ხდება ობიექტურად, ინდივიდუალურად ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლის საფუძველზე, ხელმძღვანელ პირებთან შეთანხმებით.

. ყოველ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედება სოციალური მუშაკის დასკვნა/რეკომენდაცია, საბჭოს ოქმი, განაცხადი , ხარჯთაღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი, საკითხის მომზადებაზე პასუხიმგებელი პირის მოხსენებითი ბარათი, ქვეპროგრამის ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებელი დოკუმენტი და სხვა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაცია .

. სოციალური მუშაკის/მუშაკების დასკვნა/რეკომენდაცია, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ოქმი, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად იკრიბება ცალკე საქაღალდეში რიგითობის მიხედვით.

. დოკუმენტაციის სათანადო წესით შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური, ჯანმრთელობის , ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი/მუშაკები.

მუხლი 10. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

1. სოციალური დაცვის სამსახურის, სოციალური , ჯანმრთელობის , ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი/მუშაკები ინდივიდუალურად შეისწავლიან მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრები ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მდგომარეობას და გამომწვევ მიზეზებს, საჭიროებებს, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, სოციალური მუშაკების მიერ დადებული დასკვნის საფუძველზე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების

დახმარების გაცემის საბჭო განიხილავს საკითს დახმარების მიღების თაობაზე,რის შესახებაც დგება ოქმი.

2. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ხელმძღვანელ პირებთან შეთანხმებით, მერის ბრძანებით, საკითხზე პასუხისმგებელი პირის მოხსენებითი წერილი საფუძველზე.

3. საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია.

მუხლი 11. ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემა

1. სოციალური დახმარება ყველა კატეგორიის ბენეფიციარისთვის არის ერთჯერადი.

2. დახმარების პროგრამით განსაზღვრული დაფინანსება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. წარმოდგენილი ინვოისის/ სატენდერო ხელშეკრულების ფარგლებში ხარჯთაღვრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის, ქვეპროგრამის ფარგლებში დადებული ხელშეკრულების მიხედვით მითითებული დაწესებულებების /ბენეფიციართა პირად ანგარიშზე.

3. წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური, ჯანმრთელობის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი/მუშაკები.

4. ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა ხორციელდება მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

5. მოხსენებით ბარათს თან დაერთვება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური, ჯანმრთელობის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის/მუშაკების მიერ გამოვლენილი კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების შეფასების საფუძველზე შედგენილი დასკვნა ნუსხა/ჩამონათვალი, განაცხადი, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების გაცემის საბჭოს მიერ შედგენილი ოქმი და სხვა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

მუხლი 12. მოსალოდნელი შედეგები

პროგრამით მონაწილე მიზნობრივი ჯგუფის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა, ძალადობის მხვერპლთა თავშესაფრით უზრუნველყოფა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუფუქება, დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშეწყობა/გაუმჯობესება , მათი წახალისება, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.

დანართი N2

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N--

დ. მესტია ---- . ----.2024 წ.

ერთის მხრივ, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილი მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის სამსახურის, სოციალური, ჯანმრთელობის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ---------- (პ/ნ ----------) სახით, /შემდგომში ,,დამფინანსებელი“/ და მეორე მხრივ ფ/პ ---------- პ/ნ ---------- სახით /შემდგომში ,,ბენეფიციარი“/ ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მხარეთა სახელწოდება

1. **„დამფინანსებელი“ - მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის, სოციალური, ჯანმრთელობის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.**

1. **„ბენეფიციარი“ - სიღატაკეში ან/და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები.**

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქვეპროგრამის ფარგლებში სიღატაკეში ან/და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. ხელშეკრულება ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სიღატაკეში ან/და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების დადგენას და ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში შესაბამისი საქონლის შეძენას (მათ შორის ინვენტარი/ავეჯის/ტექნიკა და სხვა).

მუხლი 3. სახელშეკრულებო თანხა

სიღატაკეში ან/და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები, ერთ ოჯახზე მისაწოდებელი ავეჯის/ტექნიკის/საქონლის/მომსახურების ღირებულება არაუმეტეს 1 000 (ათასი) ლარი.

მუხლი 4. დახმარების გაცემის წესი:

ფულადი დახმარების გაცემა და თანხის ჩარიცხვა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მუშაკების მიერ შეფასებული და დადგენილი საჭიროებების მიხედვით, ბავშვათა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე მომუშავე საბჭოს გადაწყვეტილებით, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დათვალიერების აქტის საფუძველზე ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის (ინვოისის) შესაბამისად.

მუხლი 5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დადასტურება

ბენეფიციარმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად , უნდა წარმოადგინოს და დოკუმენტურად დაადასტუროს , რომ ქვეპროგრამის ფარგლებში მიღებული თანხით შესრულებული ყველა შესყიდვა განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით , გონივრულ ფასად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელისგან , რომელსაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენთიფიკაციო ნომერი. ქვეპროგრამით გათვალისწინებული შესყიდვა უნდა განხორციელდეს სოციალური მუშაკების ჩართულობით, თანხის ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობა:

6.1. დამფინანსებელი კისრულობს ვალდებულებას:

ა) მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამასახურის სოციალური , ჯანმრთელობის , ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილ იქნას კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები, მომართვიანობის და მათი მოკვლევის საფიძველზე.

ბ) ბენეფიციარს ჩაურიცხოს თანხა პროგრამით გათვალისწინებული წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე, არაუმეტეს 1000 ლარისა.

6.2. დამფინანსებელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს ბენეფიციარისგან წარმოადგინოს ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული თანხით შესრულებული ყველა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი, თანხის ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში.

6.3. ბენეფიციარს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს დამფინანსებლისგან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვა, კერძოდ თანხის ჩარიცხვა პირად ანგრიშზე;

6.4 ბენეფიციარი კისრულობს ვალდებულებას:

ა) მოახდინოს შესყიდვა სოციალური მუშაკების მიერ დადგენილი საჭიროების (მათ შორის ინვენტარი/ავეჯის/ტექნიკა/სამშენებლო და სარემონტო მასალა და სხვა) მიხედვით.

ბ) წარმოადგინოს ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული თანხით შესრულებული ყველა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი, თანხის ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. იმ შემთხვევაში თუ, ბენეფიციარი ერთი თვის ვადაში არ წარმოადგენს გადახდის დამადასტურებელ ქვითრებს, დამფინანსებელი უფლებამოსილია ბენეფიციარისგან, მოითხოვოს თანხის უკან დაბრუნება 10 დღის ვადაში.

7.2. პირგასამტეხლოს ოდენობაა:

თუ პუნქტ „7.1"-ში აღწერილ შემთხვევაში „ბენეფიციარი" არ დააბრუნებს პროგრამის ფარგლებში მისთვის ჩარიცხულ თანხას 10 დღის ვადაში, „დამფინანსებელი" უფლებამოსილია ოჯახის აღნიშნული პროგრამით დაფინანსება შეაჩეროს 3 წლის ვადით .

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების

შეუსრულებლობით/არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხიმგებლობისგან, თუ

ხელშეკრულების შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება არის ფორს-მაჟორული

გარემოების შედეგი.

8.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ

და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის

მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან, გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

ასეთი გარემოებები შესაძლებელია გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით,

ეპიდემიით და ა.შ.

8.3. თუ ფორსმაჟორულმა გარემოებებმა არსებითი ზიანი მიაყენა ,,უზუფრუქტუარს" ან

გაართულა ,,უზუფრუქტუარის" მიერ უზუფრუქტით გადაცემული უძრავი ქონებით

სარგებლობა, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს უზუფრუქტის ხელშეკრულების მოშლა.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინადმებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედია „ბენნეფიციარის" მიერ მოტანილი გადახდის ქვითრების შემოწმებადმე.

9.2 წინადმებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება იურიდიული ძალის მქონე იქნება, იგი დადებული იქნება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად მხარეებისთვის გადასაცემად. ერთი ეგზემპლარი ინახება „ დამფინანსებელთან", ხოლო

მეორე „ბენეფიციართან“.

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები:

დამფინანსებელი		ბენეფიციარი
მესტიის მუნიციპალიტეტის მერია სოციალური დაცვის სამსახურის, სოციალური , ჯანმრთელობის , ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (სახელი და გვარი) (პ/ნ) მისამართი: მესტია, სეტის მოედანი #1 ხელმოწერა ----------		ფიზიკური პირი (სახელი და გვარი) (პ/ნ) მისამართი: სს „---------- ბანკი“ ბანკის კოდი:---------- ანგარიშსწორების ანგარიში ა/№ ---------- ხელმოწერა ----------